საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №01-08/345

ქ. ბათუმი 30 ივლისი, 2019 წ.

,,ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის ზოგიერთი სტუდენტისათვის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 27 სექტემბრის №01–09/513 და ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე (ინგლისურენოვანი) ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე პირთა (ინდოეთის მოქალაქეების ე.წ. მე-6 ნაკადის) ჩარიცხვის შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 9 თებერვლის №01–09/44 ბრძანებაში დამატების შეტანის შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2018 წლის №01–09/268 ბრძანებების ჯიტჰინ ბაბუ ბაბუს ნაწილში ძალადაკარგულად ცნობისა და ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე (ინგლისურენოვანი) ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე პირთა (ინდოეთის მოქალაქეების ე.წ. მე-7 ნაკადის) ჩარიცხვის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 04 სექტემბრის №01–09/451 ბრძანებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-56-ე, 61-ე, 63-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე–13 და 66–ე მუხლების, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“-ს, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის 2019 წლის 17 ივლისის MES 9 19 00958954 და 2019 წლის 27 ივლისის MES 3 19 00993012 მოხსენებითი ბარათების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი მისი გამოცემის დღიდანვე ,,ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის ზოგიერთი სტუდენტისათვის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 27 სექტემბრის №01–09/513 ბრძანება ჯიტჰინ ბაბუ ბაბუს (ბ/ნ ნაწილში.

2. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე (ინგლისურენოვანი) ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე პირთა (ინდოეთის მოქალაქეების ე.წ. მე-6 ნაკადის) ჩარიცხვის შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 9 თებერვლის №01–09/44 ბრძანებაში დამატების შეტანის შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2018 წლის №01–09/268 ბრძანება ჯიტჰინ ბაბუ ბაბუს (პ/ნ) ნაწილში.
3. შევიდეს ცვლილება და დამატება ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე (ინგლისურენოვანი) ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე პირთა (ინდოეთის მოქალაქეების ე.წ. მე-7 ნაკადის) ჩარიცხვის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 04 სექტემბრის №01–09/451 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   ,,1. წინამდებარე ბრძანების №1 დანართით განსაზღვრული პირები 2018-2019 სასწავლო წლიდან (2018 წლის 3 დეკემბერი) ჩაირიცხონ ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე (ინგლისურენოვანი).

   1.1. ინდოეთის რესპუბლიკის მოქალაქე ჯიტჰინ ბაბუ ბაბუ (პ/ნ) ჩაირიცხოს ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე (ინგლისურენოვანი) 2018 წლის 25 დეკემბრიდან.''
4. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს და დაინტერესებულ პირს – ჯიტჰინ ბაბუ ბაბუს, ასევე განთავსდეს მის პირად საქმეში.
5. ბრძანება აისახოს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).
7. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**